

# ბრძანება

N03/94

25 / ოქტომბერი / 2012 წ.

ქ.თბილისი

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების დანართი #1-ში და #2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების დანართი #1-ში და #2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართი #1-ში შეტანილი რიგითი ნომერი 1350, ნაცვლად "ქიაჩელი ლეოს ქ.#18"-სა, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით \_ " ქიაჩელი ლეოს ქ.#16", ასევე ამავე ბრძანების დანართი #2-ში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი #010206131-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: " ქიაჩელი ლეოს ქ.#18 " შეიცვალოს შემდეგი რედაქციით \_ " ქიაჩელი ლეოს ქ.#16" და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

ბ) დანართი #1-ში შეტანილი რიგითი ნომერი 1710, ნაცვლად "ჯავახიშვილი ივანეს ქ.#37 / ტურგენევის ქ.#8"-სა, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით \_ " ჯავახიშვილი ივანეს ქ.#37 / ტურგენევის ქ.#2", ასევე ამავე ბრძანების დანართი #2-ში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი #010203284-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: " ჯავახიშვილი ივანეს ქ.#37 / ტურგენევის ქ.#8" შეიცვალოს შემდეგი რედაქციით \_ `ჯავახიშვილი ივანეს ქ.#37 / ტურგენევის ქ.#2" და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

გ) დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა #7).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ნიკოლოზ რურუა

1350. ქიაჩელის /ლეო/ ქუჩა 16

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 010206131



1. სახელწოდება – საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ქიაჩელი ლეოს ქუჩა 16
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული

1710. ჯავახიშვილის /ივანე/ ქუჩა 37 / ტურგენევის ქუჩა 2

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 010203284



1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ჯავახიშვილი  
ივანეს ქუჩა 37 / ტურგენევის ქუჩა 2
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის II ნახევარი